ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების ხელშეკრულება # GN-10.11.2022-10
(კონფიდენციალურობის პოლიტიკა და კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები)

თარიღი: 10.11.2025

ოპერატორი	
დასახელება:	შპს „გრინ ნეთვორქსი“
საიდენტიფიკაციო კოდი:	440887391
იურიდიული მისამართი:	ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას 50
ფაქტობრივი მისამართი:	ქ. ხაშური, მერაბ კოსტავას 50
ტელეფონი:	0323100500
ელ-ფოსტა:	info@green.net.ge
საბანკო რეკვიზიტები:	GE42TB7799536080100006

აბონენტი	
ფიზიკური პირი / იურიდიული პირი:	
პირადი ნომერი / საიდენტიფიკაციო კოდი:	
მისამართი:	
სერვისის მიწოდების ადგილი:	
ტელეფონი:	
ელ-ფოსტა:	

აბონენტის ნომერი:	

აბონენტის (იურიდიული პირის შემთხვევაში ან თუ ფიზიკური პირის სახელით ხელმომწერი სხვა პირია) უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაცემები:

სახელი	გვარი	პირადი ნომერი

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ოპერატორის მიერ აბონენტისათვის ძირითადი ან/და დამატებითი მომსახურებ(ებ)ის გაწევა;

1.2. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მის მიერ არჩეული ძირითადი ან/და დამატებითი მომსახურებ(ებ)ის საფასური და შეასრულოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები;

2. ტერმინთა განმარტებები

2.1. აბონენტი – პირი, ვისთანაც ოპერატორს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება ძირითადი ან/და დამატებითი მომსახურების მიწოდებაზე;

2.2. ოპერატორი – შპს ,,გრინ ნეთვორქსი'', საიდენტიფიკაციო ნომერი: 440887391 (www.greennetworks.ge);

2.3. მხარე – ოპერატორი ან აბონენტი, კონტექსტიდან გამომდინარე;

2.4. მხარეები – ოპერატორი ან/და აბონენტი ერთად;

2.5. პორტალი – გრინ ნეთვორქს-ის სპეციალიზებული სისტემა, რომლის საშუალებითაც მომხმარებელი ოპერატორისგან მიიღებს სხვადასხვა მომსახურებებს;

2.6. ძირითადი მომსახურება – ინტერნეტი (ოპტიკური / რადიო ქსელი), კოლოკაცია, გამოყოფილი სერვერები, ვირტუალური სერვერები, ან/და ნებისმიერი სხვამომსახურება, რომელიც ოპერატორის მიერ შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე იქნება განსაზღვრული;

2.7. დამატებითი მომსახურება – ერთჯერადი ინსტალაციის ან/და სხვა დამატებითი სამუშაოები;

3. ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის გაფორმება

3.1. ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის გაფორმებამდე, აბონენტის იდენტიფიკაციის პროცესის განხორციელების მიზნით ოპერატორიპორტალის მეშვეობით მიიღებს და დაამუშავებს აბონენტის მონაცემებს, რომლის დეტალებიც მოცემულია „კონფიდენციალურობის პოლიტიკაში“;

3.2. ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის გაფორმება გულისხმობს თანმიმდევრულ შემდეგ ორ ეტაპს: I ეტაპი - პორტალზე აბონენტის რეგისტრაცია და II ეტაპი - აბონენტის მხრიდან ოპერატორის ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის პირობების გაცნობა და მასზე ელექტრონულად დათანხმება;

3.3. აბონენტმა თანხმობა უნდა დაადასტუროს ელექტრონულად, კერძოდ: აბონენტის IP მისამართიდან ნებისმიერ ვებ-ბრაუზერში (მაგ: Google Chrome, Mozilla Firefox და ა.შ.) შესვლისას, ხელმისაწვდომი ხდება ხელშეკრულების ან/და დანართ(ებ)ის ტექსტი და ტექსტის ბოლოს ღილაკის - „კოდის მიღება“ თითის დაჭერის შემდგომ, წინამდებარე დოკუმენტში აბონენტის მიერ მითითებულ მობილურის ნომერზე ან ელ-ფოსტაზე შეტყობინების სახით აბონენტს გაეგზავნება კოდი, რომლის შესაბამის ველში შეყვანის შემდეგ, აბონენტისმიერ ელექტრონული სახით ხელშეკრულების პირობებზე ან/და დანართ(ებ)ზე თანხმობა/აქცეპტი (ღილაკზე „გავეცანი და ვეთანხმები“ თითის დაჭერა) წარმოადგენს ნების გამოვლენას და უთანაბრდება აბონენტის პირად ხელმოწერას. კოდის დაცვასა და გაუმჟღავნებლობაზე ერთპიროვნულად პასუხისმგებელია აბონენტი. შესაბამისად აბონენტის კოდის საშუალებით განხორციელებული.

ნებისმიერი ქმედება ჩაითვლება აბონენტის მიერ განხორციელებულად და მის შედეგ(ებ)ზე სრულად პასუხისმგებელია აბონენტი.

3.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ძირითადი ან/და დამატებითი სერვისის მიღებისას, ოპერატორის მიერ შეთავაზებული ფორმით/პირობებით (მათ შორის, მოკლე ტექსტური შეტყობინება, პორტალი, კოდური სიტყვა, ელექტრონულ მოწყობილობაზე ხელმოწერა - signature pad, ელ. ფოსტა) აბონენტის მხრიდან ნების გამოვლენა პორტალიდან, საკონტაქტო ნომრიდან/ელ.ფოსტიდანან ნებისმიერ სხვა ფორმით განხორციელებული დასტური უთანაბრდება მის მიერ გამოხატულ თანხმობას კონკრეტულ ქმედებაზე, პირად ხელმოწერას მატერიალურ დოკუმენტზე და გააჩნია იგივე იურიდიული ძალა.

4. კონფიდენციალურობის პოლიტიკა

4.1. აბონენტი აცხადებს თანხმობას მასზედ, რომ პირადობის იდენტიფიკაციის პროცესის განხორციელების მიზნით ოპერატორი პორტალის საშუალებით მიიღებს და დაამუშავებს აბონენტის მონაცემებს, კერძოდ, დისტანციური იდენტიფიკაციის პროცესში მოპოვებულ ბიომეტრიულ მონაცემებს, სახის ფოტოსურათის ან/და” live“ გამოსახულების ჩანაწერის სახით, აბონენტის პირადობისდამადასტურებელ დოკუმენტს, მასში შემავალი მონაცემების ჩათვლით.

4.2. თქვენ შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება

4.2.1. თქვენ შესახებ პერსონალური ინფორმაციის შეგროვება შესაძლებელია განხორციელდეს მაშინ, როდესაც თქვენ:

- ჩვენგან იძენთ რაიმე პროდუქტს ან მომსახურებას (მათ შორის, პროდუქტების ან მომსახურების შეძენა ონლაინ რეჟიმში, პორტალით, სატელეფონო კომუნიკაციის საშუალებით, ოფისში ან ნებისმიერი სხვა ფორმით, რაც გამოყენებული იქნება ოპერატორის მიერ);
- რეგისტრირდებით კონკრეტულ პროდუქტზე, პორტალზე ან მომსახურებაზე (მათ შორის, არეგისტრირებთ რა თქვენ სახელს დამისამართს საკომუნიკაციო მომსახურებისათვის ან ჩვენთან ქმნით ელექტრონულ ანგარიშს);
- ჩვენგან იწერთ სიახლეებს, გამაფრთხილებელ შეტყობინებებს ან სხვა მომსახურებებს;
- ჩვენგან ითხოვთ რომელიმე პროდუქტის ან მომსახურების შესახებ დამატებით ინფორმაციას ან მოგვმართავთ შეკითხვით ან საჩივრით;
- სარგებლობთ ჩვენი ქსელით და გრინ ნეთვორქს-ის სხვა პროდუქტებითა ან მომსახურებებით;
- ნახულობთ ან ათვალიერებთ ჩვენ ვებგვერდს.

4.2.2. შესაბამისი საჭიროებისას, ჩვენ ასევე შეგვიძლია შევაგროვოთ თქვენ შესახებ ინფორმაცია სხვა ორგანიზაციებიდან. როგორიცაა, მაგრამ არამხოლოდ - თაღლითური შემთხვევების პრევენციის სფეროში მოქმედი სააგენტოები, ბიზნეს ცნობარები და საკრედიტო- საინფორმაციო ორგანიზაციები. ჩვენ ასევე შეგვიძლია შევაგროვოთ თქვენ შესახებ ინფორმაცია ჩვენი სხვა საქმიანობების ფარგლებში, ასევე ჩვენი პარტნიორი კომპანიებიდან თუ სხვა კომპანიებიდან.

4.3. პერსონალური ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ

4.3.1. ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვაგროვებთ დამოკიდებულია იმ პროდუქტებსა და მომსახურებებზე, რომლითაც თქვენ სარგებლობთან/და გაქვთ გამოწერილი. ის მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- თქვენი სახელით, მისამართით, სატელეფონო ნომრით, დაბადების თარიღით და ელექტრონული ფოსტის მისამართით;
- ინფორმაციით საკრედიტო და სადებეტო ბარათის შესახებ, ინფორმაციით თქვენი საბანკო ანგარიშის ნომრის და საბანკო ბარათის 16 ნიშნა ნომრის ან სხვა საბანკო ინფორმაციის შესახებ;
- თქვენი ჩვენთან კომუნიკაციის შინაარსით, როგორიცაა შენიშვნა ან სატელეფონო ზარის ჩანაწერი, რა ზარიც თქვენ განახორციელეთ ჩვენ რომელიმე საკონტაქტო ცენტრში, ელექტრონული საფოსტო შეტყობინება ან წერილი, რომელსაც თქვენ ჩვენთან აგზავნით ან თქვენი ჩვენთან კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა სახის ჩანაწერები;
- ინფორმაციით თქვენი ანგარიშის შესახებ, როგორიცაა მონაცემები გადაუხდელი თანხების ან განხორციელებული გადახდების თარიღების შესახებ, სააბონენტო ანგარიშის შევსების შესახებ, იმ სააბონენტო მომსახურებების შესახებ, რომლითაც თქვენ სარგებლობთ ან ნებისმიერ სხვა ინფორმაციას, რაც უკავშირდება თქვენ ანგარიშს.

4.4. ჩვენ ასევე ვაგროვებთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხდება თქვენ მიერ ჩვენი პროდუქტებითა და მომსახურებებითსარგებლობა, როგორიცაა ინფორმაცია:

- სატელეფონო ნომრების შესახებ, რომელთანაც თქვენ რეკავთ ან აგზავნით შეტყობინებებს (ან სატელეფონო ნომრების შესახებ,რომელთაგან თქვენ იღებთ ზარებს ან შეტყობინებებს);
- ჩვენი ქსელის მეშვეობით თქვენს მიერ განხორციელებული სატელეფონო ზარებისა და შეტყობინებების განხორციელების (გაგზავნის) თარიღის, დროის და ხანგრძლივობის შესახებ, ასევე ინფორმაცია ამგვარი კომუნიკაციის განხორციელებისას თქვენი მიახლოებითი ადგილმდებარეობის შესახებ;
- მომსახურების ხარისხის შესახებ, რასაც იღებთ - მაგალითად, ინფორმაცია ქსელის შეფერხებების და ქსელში დაფიქსირებული სხვა შემთხვევების შესახებ, რომელთაც შესაძლებელია გავლენა იქონიონ ჩვენი ქსელის მომსახურებებზე;

4.5. თქვენი პერსონალური ინფორმაციის გამოყენება

4.5.1. ჩვენ შესაძლებელია გამოვიყენოთ და გავაანალიზოთ თქვენ შესახებ ინფორმაცია, რათა:

- თქვენი განაცხადის შეფასების მიზნით შევამოწმოთ საკრედიტო ბალანსი, იმ შემთხვევაში თუ თქვენ განზრახული გაქვთ საკომუნიკაციო მომსახურების შეძენის მიზნით გააფორმოთ ხელშეკრულება;
- დავამუშაოთ თქვენ მიერ ჩვენგან შეძენილი საქონელი და მომსახურებები და მოგაწოდოთ ინფორმაცია თქვენი შეკვეთის დამუშავების მსვლელობის/მიმდინარეობის შესახებ;
- ზოგადად მოგაწოდოთ ინფორმაცია ახალი პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ (თუ თქვენ უარს არ განაცხადებთ ჩვენი მარკეტინგული ინფორმაციის მიღებაზე სათანადო ფორმით);
- ჩვენი პროდუქტებით და მომსახურებით სარგებლობისათვის დაგარიცხოთ მომსახურების საფასური ან თქვენგან მივიღოთ შესაბამისი ოდენობის გადასახდელი თანხა;
- პასუხი გაგცეთ ნებისმიერ კითხვაზე ან გამოხატულ ინტერესზე, რაც შესაძლებელია გაგაჩნდეთ ჩვენი ქსელით, პროდუქტებითა და მომსახურებებით სარგებლობასთან დაკავშირებით;
- გაცნობოთ სხვა კომპანიების პროდუქტებისა და მომსახურებების შესახებ, რომლებიც ჩვენი ვარაუდით შესაძლებელია საინტერესო აღმოჩნდეს თქვენთვის (მათ შორის, ის შეთავაზებები და ფასდაკლებები, რაც კონკრეტულად ჩვენი მომხმარებლებისათვის შეთავაზების მიზნით არის შემუშავებული მათთან);
- ჩვენი ქსელის დასაცავად და ასევე სატელეფონო ზარების, ტექსტური შეტყობინებების და ქსელით სხვაგვარი სარგებლობის სამართავად. მაგალითად, ჩვენ ვადგენთ სარგებლობის პიკურ პერიოდებს და ამ მიზნით ვცდილობთ და უზრუნველვყოფთ, რომ ქსელმა შეძლოს ასეთი დროის პერიოდებში ამ მოცულობების დამუშავება;
- დავადგინოთ, თუ როგორ სარგებლობთ ჩვენი ქსელით, პროდუქტებითა და მომსახურებებით. ამ საშუალებით, ჩვენ შესაძლებლობაგვეძლევა განვავითაროთ უფრო საინტერესო და შესაფერისი პროდუქტები და მომსახურებები, ისევე როგორც მოვახდინოთ ჩვენს მიერ შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურებების ინდივიდუალიზაცია;
- ჩავატაროთ კვლევები, მარკეტინგული და სტატისტიკური ანალიზები, მათ შორის, ანონიმურ ან პერსონალიზებულ საფუძველზე მონიტორინგი იმის თაობაზე, თუ როგორ სარგებლობენ მომხმარებლები ჩვენ ქსელით, პროდუქტებითა და მომსახურებებით;
- აღმოვაჩინოთ და თავიდან ავიცილოთ თაღლითური შემთხვევები და სხვა სახის დანაშაულები, ამოვიღოთ დავალიანებები ანგამოვავლინოთ დავალიანების მქონე მომხმარებლები;
- მესამე მხარეებს მივაწოდოთ აგრეგირებული ანგარიშები (ამგვარი ანგარიშები არ შეიცავს ისეთ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია თქვენი პიროვნების იდენტიფიკაცია);

4.5.2. ჩვენ შევინახავთ თქვენ შესახებ ინფორმაციას იმ ვადით, რაც მოთხოვნილია კანონმდებლობით. იმ შემთხვევაში თუ არ არსებობს სამართლებრივი მოთხოვნა, ჩვენ მას შევინახავთ მხოლოდ იმ ვადით, რა ვადითაც ჩვენ გვაქვს ამის საჭიროება. ჩვენ ასევე შევინახავთთქვენ შესახებ გარკვეულ პერსონალურ ინფორმაციას ხელშეკრულების შეწყვეტიდან გონივრული ვადით - მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ თქვენ გადაწყვეტთ ჩვენი მომსახურებებით ხელახლა სარგებლობას. ამ დროის განმავლობაში ჩვენ, ან ჩვენი რომელიმე პარტნიორი კომპანია შესაძლებელია დაგიკავშირდეთ გრინ ნეთვორქს-ის მომსახურებებთან დაკავშირებით, თუ თქვენ სათანადო ფორმით არ განგიცხადებიათ უარი ჩვენი მხრიდან მარკეტინგული ინფორმაციის მიღებაზე.

4.6. თქვენ შესახებ პერსონალური ინფორმაციის გაზიარება

4.6.1. ჩვენ შესაძლებელია გავუზიაროთ თქვენ შესახებ ინფორმაცია:

- გრინ ნეთვორქს-ის აფილირებულ კომპანიებს;
- იმ პარტნიორებსა და აგენტებს, რომლებიც ჩართული არიან იმ პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდებაში, რომელიც თქვენშეუკვეთეთ ან რომლითაც ისარგებლეთ ან გეგმავთ რომ შეუკვეთოთ ან ისარგებლოთ;
- იმ კომპანიებს, რომლებიც მონაწილეობენ გრინ ნეთვორქს-ის ან მისი აფილირებული კომპანიების სახელით მომსახურებების მიწოდებაში;
- საკრედიტო საცნობარო, თაღლითური შემთხვევების პრევენციის ან სარეიტინგო სააგენტოებს ან სხვა კრედიტუნარიანობის შემოწმების სააგენტოებს;
- დავალიანების ამოღების სფეროში მოქმედ ორგანიზაციებს;
- სამართალდამცავ ორგანოებს, მარეგულირებელ ორგანოს, სასამართლო ან სხვა საჯარო დაწესებულებებს, თუ ეს ჩვენ მოგვეთხოვება ან ნებადართულია კანონმდებლობით;

4.7. ჩვენ გავცემთ ინფორმაციას იმ შემთხვევაში თუ ის გონივრულად აუცილებელია თაღლითური შემთხვევისაგან ჩვენი დაცვის, ჩვენიუფლებებისა და ქონების დაცვის ან ჩვენი მომხმარებლების ინტერესების დაცვის მიზნით;

4.8. თუ განხორციელდება ჩვენი რეორგანიზაცია ან მფლობელობის შეცვლა, ჩვენ უფლება გვაქვს მოვახდინოთ თქვენ შესახებ ნებისმიერიპერსონალური ინფორმაციის გადაცემა ამ ორგანიზაციისათვის;

4.9. ჩვენ შესაძლებელია დაგვჭირდეს თქვენ შესახებ ინფორმაციის გადაცემა საქართველოს ფარგლებს გარეთ არსებულ სხვა კომპანიებზედა მომსახურების მიმწოდებლებზე. ეს შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევებში, თუ ჩვენი სერვერები ან მიმწოდებლები ან მომსახურების მიმწოდებლები განთავსებულია/იმყოფებიან საქართველოს ფარგლებს გარეთ ან თუ თქვენ სარგებლობთ ჩვენი პროდუქტებით და მომსახურებებით საზღვარგარეთ;

4.10. ჩვენ შესაძლებელია ასევე გავუზიაროთ თქვენ შესახებ ინფორმაცია იმ პარტნიორ ორგანიზაციებს, რომლებიც გულმოდგინედ იქნა შერჩეული, რათა ისინი დაგიკავშირდნენ თავიანთ პროდუქტებსა და მომსახურებებთან დაკავშირებით;

4.11. თქვენ შესახებ პერსონალური ინფორმაციის უსაფრთხოდ შენახვა

4.11.1. ჩვენ გვყავს სპეციალიზებული უსაფრთხოების გუნდი, რომელიც მუდმივად ამოწმებს და ახდენს იმ ზომების გაუმჯობესებას, რომელთა მიზანია პერსონალური ინფორმაციის დაცვა უნებართვო წვდომისაგან, შემთხვევითი წაშლისაგან, გამჟღავნებისაგან ან განადგურებისაგან;

4.11.2. თუ ჩვენ გაგვაჩნია სახელშეკრულებო ურთიერთობა ისეთ ორგანიზაციასთან, რომელიც გვაწვდის მომსახურებებს ან მომსახურებას და ჩვენი სახელით ამუშავებს თქვენ შესახებ პერსონალურ ინფორმაციას, ჩვენ უზრუნველყოფთ, რომ ისინი იღებდნენ სათანადო უსაფრთხოების ზომებს დაამუშაონ თქვენ შესახებ პერსონალურ ინფორმაცია მხოლოდ ჩვენგან ნებადართულ ფარგლებში. ასეთ ორგანიზაციებს არ ეძლევათ უფლება გამოიყენონ თქვენ შესახებ პერსონალური ინფორმაცია თავიანთი მიზნებისათვის. თუ ამის აუცილებლობა არსებობს, ჩვენი უსაფრთხოების გუნდი ამოწმებს მათ, რათა ისინი აკმაყოფილებდნენ ჩვენ მიერ დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს;

4.11.3. ინტერნეტის (როგორიცაა ელექტრონული ფოსტა, მაგრამ არამხოლოდ) საშუალებით გადაცემული კომუნიკაცია არ არის უსაფრთხო, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ის არის დაშიფრული. თქვენმა კომუნიკაციამ შესაძლოა გაიაროს

რამდენიმე ქვეყანა, სანამ ის მიაღწევს დანიშნულების ადგილს - რადგან ასეთია ინტერნეტის ბუნება. ჩვენ არ შეგვიძლია პასუხისმგებლობა ავიღოთ იმ ნებისმიერ უნებართვო წვდომაზე ან პერსონალური ინფორმაციის დაკარგვაზე, რაც ცდება ჩვენი კონტროლის ფარგლებს;

4.12. კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული თქვენი უფლებები

4.12.1. თქვენ შეგიძლიათ მოგვწეროთ ნებისმიერ დროს იმ პერსონალური ინფორმაციის ასლის მიღების მიზნით, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია თქვენთან დაკავშირებით;

4.12.2. თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ჩვენ გაგვაჩნია თქვენ შესახებ არაზუსტი ინფორმაცია გთხოვთ დაუკავშირდეთ ჩვენ ცხელ ხაზს სათანადო ფორმით;

4.12.3. თქვენ შეგიძლიათ უარი განაცხადოთ მარკეტინგული ინფორმაციის მიღებაზე სათანადო ფორმით.

5. კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები

5.1. წინამდებარე მომსახურების კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები (Fair use Policy) შემუშავებულია მომსახურების ხარისხის, უსაფრთხოების და გრინ ნეთვორქს-ის/მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნით. იგი არის ქცევის ზოგადი წესი და წარმოადგენს შესასრულებლად სავალდებულოს გრინ ნეთვორქს-ის ყველა აბონენტისათვის, გრინ ნეთვორქს-ის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი მომსახურებით სარგებლობისას;

5.2. აბონენტი ვალდებულია მომსახურება გამოიყენოს მხოლოდ პირადი სარგებლობისათვის, მხოლოდ კანონიერი მიზნებისათვის დახელშეკრულებით ნებადართული პირობებით;

5.3. რა ჩაითვლება მომსახურებით არაკეთილსინდისიერ სარგებლობად:

- გრინ ნეთვორქს-ის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე, მომსახურების გამოყენება საკონტაქტო ცენტრების, ლატარიის, ხმის მიცემის, გათამაშებების, რეკლამის, კონკურსების ორგანიზებისათვის, მარკეტინგის, ტელემარკეტინგის ან სხვაგვარი კომერციული მიზნებით. მაგალითად: შეტყობინების გაგზავნა უჩვეულოდ დიდი ოდენობის ადრესატებისთვის (bulk messaging, spam), უჩვეულოდდიდი ოდენობის შეტყობინების/ზარების განხორციელება დროის მცირე პერიოდში, არასასურველი გზავნილის (spam) გაგზავნა, უჩვეულოდ დიდი ოდენობის ნომრებზე/ადრესატთან, ავტომატურ რეჟიმში ან არასასურველი შეტყობინებების/ზარების განხორციელება, მათ შორის, რაიმე სახის მომსახურების თუ პროდუქტის რეკლამირების მიზნით;
- მომსახურების გადაყიდვა ნებისმიერი ფორმით, მესამე პირისათვის მომსახურებით სარგებლობის უფლების (სასყიდლით ან უსასყიდლოდ) მინიჭება, ოპერატორის თანხმობის გარეშე მომსახურების, აპარატურის სასყიდლიანი ან უსასყიდლო გადაცემა მესამე პირებისთვის;
- ნებისმიერი შემდეგი მანიპულაცია - ქსელში უნებართვო ჩართვა, ტრაფიკის დამისამართება, ხელოვნურად დიდი მოცულობის ტრაფიკის დაგენერირება, ავტომატური გამოძახება/დარეკვა ან ზარების დასრულება, სააბონენტო ნომრის ჩანაცვლება (A ნომრის ცვლილება), ზარის ტრანზიტი, ზარების უწყვეტი დამისამართება, ზარების განხორციელება სპეციალური მოწყობილობის საშუალებით, ერთდროული (პარალელური) მრავალჯერადი ზარების განხორციელება, ნომრის/IP მისამართის ცვლილება, მომსახურების აპარატურაში პროგრამული უზრუნველყოფის გადაკეთება/ახლის ჩაწერა, მისი უნებართვო გადატანა სხვა მისამართზე, ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში არასანქცირებული შეღწევა, Dos და DDoS შეტევა;
- ქსელის გადატვირთვა შეუსაბამოდ მაღალი აქტივობ(ებ)ით, არაავტორიზებული შეთავაზებების გაკეთებით, ასევე ყურადღების მისაქცევი შეტყობინებების დაგზავნით, ნებისმიერი ქმედებით, რომელიც იწვევს შეუსაბამოდ დიდი რაოდენობის გამოხმაურებას/პასუხს (მაგალითად ე.წ. ტროლინგი) და რაც მაგალითად შეიძლება განხორციელდეს ელ. ფოსტის, მოკლე ტექსტურიშეტყობინებების, აპლიკაციების და სხვა საშუალებების გამოყენებით;
- სპამის, დაუშვებელი პროდუქციის, კომპიუტერული ვირუსის, თაღლითური ან მავნე პროგრამების გავრცელება, მომხმარებლების პერსონალური, საბანკო თუ სხვა სახის ინფორმაციის მოპოვების მცდელობა, მათ შორის და არა მხოლოდ, „ფიშინგი“ (Phishing), „სმიშინგი“ (Smishing), „სპუფინგი“ (spoofing), მრავალჯერადი მცდელობა წინასწარი გადახდის სისტემის ბარათის გააქტიურების მიზნით;
- მომსახურების მიღება მესამე პირთა პირადი ცხოვრების ან მათი სიმშვიდის შემლახავი, მუქარის შემცველი, მათთვის მატერიალური ზიანის მიმყენებელი, ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ან სხვა ნებისმიერი მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩასადენად ან მსგავსი მიზნობრიობით ან რამაც შესაძლებელია ზიანი მიაყენოს როგორც მესამე პირების ან გრინ ნეთვორქს-ის დაცულ და მართლზომიერინტერესებს/უფლებებს;
- მომსახურების მიღება თაღლითური ან სხვა ნებისმიერი სახის კანონსაწინააღმდეგო მიზნებისათვის;
- ტექნოლოგიურ კომპონენტებში (აგრეგატებში), პროგრამებში, მონაცემთა ბაზებში და ინტერნეტის სხვა კომპონენტებში
- არასანქცირებული შეღწევა ან არასანქცირებული წვდომა გრინ ნეთვორქს-ის ინფრასტრუქტურის რაიმე სახის რესურსებთან, მათ შორის,მონაცემების შეგროვების, შეცვლის, წაშლის ან კოპირების მიზნით;

5.4. იმ შემთხვევაში, თუ თქვენს მიერ მოხდება ამ წესების დარღვევა და გრინ ნეთვორქს-ის მიერ განხორციელდა ამ ფაქტის გამოვლენა, ოპერატორს უფლება აქვს აბონენტს სრულად ან ნაწილობრივ შეუზღუდოს მომსახურების მიწოდება, რაც ხორციელდება აბონენტისწინასწარი შეტყობინებით ან მის გარეშე;

5.5. გრინ ნეთვორქს ასევე უფლებამოსილია წინამდებარე წესების დარღვევის გონივრული ეჭვის არსებობისას საკომუნიკაციო ქსელის უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად ან აბონენტებისათვის მომსახურებების შეუფერხებლად მიწოდების მიზნებისათვის,შეტყობინების საფუძველზე დააწესოს გარკვეული შეზღუდვები გამავალი/შემავალი ზარების ხანგრძლივობაზე და მოცულობაზე, გაგზავნილი/მიღებული შეტყობინებების ოდენობაზე, ზოგადად ტრაფიკზე, სრულად ან ნაწილობრივ განაკავშიროს მომხმარებელი ქსელიდან ან შეამციროს ან შეზღუდოს ინტერნეტ კომუნიკაციის ტრაფიკი;

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. ოპერატორი ვალდებულია:

6.1.1. გაუწიოს აბონენტს მომსახურება ოპერატორის ქსელის დაფარვის ზონის ფარგლებში, ოპერატორისათვის გაცემული ლიცენზიების პირობებისა და შესაბამისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში;

6.1.2. საჭიროებისამებრ უზრუნველყოს აბონენტისთვის გათვალისწინებული მომსახურების მიღებისთვის საჭირო აპარატურისდამონტაჟება, თუკი ამის საჭიროება იქნება, მხარეთა წინასწარი შეთანხმებით;

6.1.3. უზრუნველყოს მომსახურების გამართულად მიწოდება (ძირითადად იგულისხმება შეუფერხებელი და ხარისხიანი მომსახურება);

6.1.4. თუ აბონენტი სარგებლობს ოპერატორის მომსახურებით, რომელიც მოიცავს სატელეფონო კავშირის უზრუნველყოფას, მისცეს აბონენტს საშუალება მომსახურების ფარგლებში უსასყიდლოდ და ფულადი საავანსო თანხის (დეპოზიტის)

ამოწურვის შემთხვევაშიც, განახორციელოს ზარი ოპერატორის ცხელ ხაზზე და საგანგებო სამსახურის ნომრებზე;

6.2. ოპერატორი უფლებამოსილია:

6.2.1. დამატებითად მოითხოვოს ძირითადი ან/და დამატებითი მომსახურების საფასური თუკი ამის საჭიროება იქნება;

6.2.2. მოითხოვოს აბონენტისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის, თუკი ამის საჭიროება იქნება, ექსპლუატაციის წესების დაცვა;

6.2.3. მოთხოვოს აბონენტს დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების ან უკან არ დაბრუნების შემთხვევაში მისი ღირებულების ანაზღაურება;

6.3. აბონენტი უფლებამოსილია:

6.3.1. მიმართოს ოპერატორს პრეტენზიით ზეპირი ან წერილობითი ფორმით;

6.3.2. ქსელში ჩართვისას, საკუთარი შეხედულებისამებრ, აირჩიოს იმ მომენტისათვის შეთავაზებული მომსახურება, სატარიფო გეგმა და ქსელში ჩართვის შემდგომ ისარგებლოს ოპერატორის მომსახურებებით, შეთავაზებებით, მათ შორის, ისეთით, რომელიც ოპერატორის მიერ განსაზღვრულია როგორც ულიმიტო, მხოლოდ იმგვარად, რომ არ მოხდეს მომსახურების ბოროტად გამოყენება;

6.3.3. ოპერატორის მიერ დადგენილი წესით და ფორმით ჩართოს ან გააუქმოს მომსახურებების სახეობები, ტექნიკური ან/და ელექტრონული საშუალებებით ან სხვა გზით - კოდის, საკონტაქტო ნომრის, ელ. ფოსტის, პორტალის ან სხვა საშუალებებისგამოყენებით, რომლებითაც დასტურდება ფაქტი, რომ მოთხოვნა მომდინარეობს აბონენტისაგან;

6.4. აბონენტი ვალდებულია:

6.4.1. დაიცვას მომსახურების მიღების მიზნით დროებით სარგებლობაში გადაცემული დამონტაჟებული აპარატურის (არსებობის შემთხვევაში) ექსპლუატაციის წესები;

6.4.2. დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის განზრახ ან გაუფრთხილებლობით დაზიანების ან უკან არ დაბრუნებისშემთხვევაში აანაზღაუროს მისი ღირებულება;

6.4.3. დაიცვას კეთილსინდისიერი სარგებლობის წესები;

6.4.4. უზრუნველყოს ნებისმიერი კოდის/პაროლის, კოდური სიტყვის დაცულობა და არ გაანდოს მესამე პირებს, ხოლო დაკარგვის ან მისიგამჟღავნების ეჭვის არსებობისას დაუყოვნებლივ მიმართოს ოპერატორს და მოახდინოს მისი შეცვლა;

7. ტარიფები

7.1. ხელშეკრულების გაფორმებისას აბონენტის მიერ არჩეული მომსახურების ტარიფები მოცემულია ხელშეკრულების დანართში (დანართი N1, N2, N3 და ა.შ);

7.2. ანგარიშსწორება წარმოებს საავანსო ან/და საკრედიტო გადახდის მეთოდით, რომელსაც ადგენს ოპერატორი;

7.3. თანხის ჩარიცხვა შესაძლებელია პორტალის ან ოპერატორის ვებგვერდის ან ოპერატორის საბანკო ანგარიშებზე ან ოპერატორის მიერ შეთავაზებული სხვა საშუალებით. ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად მესამე პირების სერვისის გამოყენებისას, სერვისის საფასური და პირობები დგინდება ასეთი სერვისის გამწევი კომპანიის მიერ და იგი სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს;

7.4. ტარიფები მოცემულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით, თუ კონკრეტულიმომსახურების ტარიფით გათვალისწინებული პირობებით, სხვაგვარად არ არის განსაზღვრული;

7.5. ოპერატორი უფლებამოსილია აბონენტის ნებისმიერი მომსახურების ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას ოპერატორის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურების საფასური ან ნებისმიერი სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან მისაღები თანხა;

8. მომსახურების ხარისხი

8.1. ოპერატორი გამოიყენებს გონივრულ ძალისხმევას, რათა უზრუნველყოს შეკვეთილი მომსახურების ხელმისაწვდომობა ყოველთვიური 98,3%-იანი მაჩვენებლით (მხოლოდ ოპტიკური ქსელით მიერთების შემთხვევაში), რაც გულისხმობს ყოველი სრული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომსახურების ჯამში არაუმეტეს 12.25 (თორმეტი საათი და ოცდახუთი წუთი) საათიან შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლისთვისაც ოპერატორს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა და რომელიც ამავდროულად არ არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამონაკლისი შემთხვევა (ისეთი დაზიანება, რომელიც არ ჩაითვლება ზემოაღნიშნულ 12.25 საათიან პერიოდში).

8.2. რადიო ქსელით (უსადენო ტექნოლოგიით) მომსახურების მიწოდებისას, რადიოტალღების სიგნალის ბუნებრივი გავრცელების თავისებურებების გამო, მომსახურება შესაძლებელია არ იყოს უწყვეტი ან შეუფერხებელი, სიგნალი შეიძლება დაიკარგოს ან მომსახურების ხარისხი შესაძლებელია გაუარესდეს მომსახურების მიღების ადგილის გეოგრაფიული, მეტეოროლოგიური ან სხვაგვარი თავისებურებებიდან გამომდინარე, რაც არ ჩაითვლება ხარისხის გაუარესებად. რადიო ქსელის თავისებურებიდან გამომდინარე, შეუძლებელია დაფარვის ზონის ზუსტი საზღვრების მითითება. ამდენად, მიუხედავად ტერიტორიის დაფარვის ზონაში არსებობისა, შესაძლებელია ასეთ ტერიტორიაზე მომსახურების არსებობა ან ხარისხობრივი მაჩვენებლები არ შეესაბამებოდეს ოპერატორის ვებგვერდზე ან ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს;

8.3. თუ ხელშეკრულებით ან სხვა შეთანხმებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მომსახურება ხელმისაწვდომია დღე- ღამის 24 საათის განმავლობაში, უწყვეტად, გარდა გადაუდებელი სარემონტო და პროფილაქტიკური სამუშაოების მიმდინარეობისა და ამპირობებით/ხელშეკრულებით განსაზღვრული გამონაკლისი შემთხვევების გათვალისწინებით;

8.4. ქსელის აგებულების თავისებურებებიდან გამომდინარე, მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, მათ შორის, საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო მომსახურების ოპერატორების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე, რაც სცილდება ოპერატორის პასუხისმგებლობის ფარგლებს;

8.5. ოპერატორი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება, თუ დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან ოპერატორის მხარესაა. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანება ქსელის ტერმინაციის წერტილიდან აბონენტის მხარესაა, ოპერატორი არ არის ვალდებული საკუთარი ხარჯით შეაკეთოს ასეთი დაზიანება. შესაძლებელია, კონკრეტული მომსახურებისათვის ასეთი დაზიანების აღმოფხვრა შეთავაზებული იქნეს ოპერატორის მხრიდან, რა დროსაც დაზიანების შეკეთება ჩაითვლება ფასიან სერვისად და საფასური განისაზღვრება ოპერატორის მიერ;

9. მხარეთა პასუხისმგებლობა

9.1. ოპერატორი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი

შესრულების პასუხისმგებლობისაგან, თუ მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია ისეთი სახის გარემოებებით (დაუძლეველი ძალა), რომელიც წარმოიშვა ოპერატორისგან დამოუკიდებელი მიზეზებით და არ ექვემდებარება მის გონივრულ კონტროლს ან ნებას (ფორს-მაჟორული გარემოებები);

9.2. ფორს-მაჟორული გარემოებები გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი სახის მოვლენებით: სტიქიური უბედურებები, ბუნებრივი კატაკლიზმები და მოვლენები, მათ შორის, მიწისძვრა, სეტყვა, მეწყერი, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ხანძარი, ეპიდემია ანპანდემია, გაფიცვა, ლოკაუტი, მასობრივი არეულობა, საბოტაჟი, კრიმინალური ან ტერორისტული აქტი, ოფიციალურად გამოცხადებული, ან გამოუცხადებელი საომარი მოქმედებები და შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო, ან საომარი მდგომარეობები, ბლოკადა, ემბარგო, კიბერშეტევა, ჰაკერული თავდასხმა, ელ. ენერგიის შეწყვეტა, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მოქმედებები, სანქციები ან აქტები, ოპერატორის მიმწოდებლების, კონტრაქტორების ან ქვეკონტრაქტორების მიზეზით გამოწვეული შემთხვევები, მათ შორის, მიმწოდებლების, კონტრაქტორებისა და ქვეკონტრაქტორების მიერ ოპერატორის წინაშე ვალდებულებების შეუსრულებლობა, კიბერდანაშაული, უჩვეულო ან არაპროგნოზირებადი გადატვირთვები, მომსახურების შეფერხება და შეწყვეტა, რომელიც გამოწვეულია მესამე პირთა ქსელებში, ან შეერთების კვანძებში შეფერხებებით, ან რესურსების, ან ქსელის (მათ შორის, ინტერნეტის ქსელის) შეფერხებები, ან ხელმიუწვდომლობა, რომელთა ადმინისტრირება ან კონტროლი ხორციელდება მესამე პირთა მიერ;

9.3. არცერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი მეორეს წინაშე არაპირდაპირი ზიანისათვის, მათ შორის, წარმოების ან საქმიანობის შეჩერების, მონაცემთა დაკარგვის, მიუღებელი სარგებლის ან ნაყოფის ან სხვა არაპირდაპირი დანაკარგისათვის ან მათი შედეგებისათვის;

10. ხელშეკრულების ძალაში შესვლა/მოქმედების ვადა.

10.1. ხელშეკრულება ძალაში შედის აბონენტის მიერ მისი ხელმოწერის ან ხელშეკრულებით განსაზღვრული ფორმით დადასტურებისმომენტიდან და მოქმედებს მის შეწყვეტამდე;

11. პირობების ცვლილება.

11.1. პირობები ან ტარიფები, სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად მინიმუმ 30 დღით ადრე აბონენტის შეტყობინების საფუძველზე;

11.2. აბონენტი უფლებამოსილია ახალი პირობების ან ტარიფების ძალაში შესვლამდე, შეცვალოს მომსახურების პაკეტი ან შეწყვიტოს იმ მომსახურების სახეობა, რომელსაც ეხება ცვლილებები ან შეწყვიტოს ხელშეკრულება. თუ აბონენტი გააგრძელებს მომსახურების შეცვლილი პირობებით მიღებას, მიიჩნევა რომ იგი სრულად ეთანხმება ცვლილებებს;

11.3. აბონენტის ნების გამოვლენა შესაძლოა დადასტურდეს პორტალის, აპლიკაციის, საკონტაქტო მონაცემებიდან გამოგზავნილი შესაბამისი დასტურით და ნებისმიერი სხვა ფორმით. მომსახურების პაკეტის/დამატებითი სერვისის/მომსახურების პაკეტის აბონენტის მიერ შეცვლა/აქტივაცია გულისხმობს, რომ აბონენტი დეტალურად გაეცნო მის პირობებს და უპირობოდ ეთანხმება მათ;

11.4. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულების პირობები შესაძლებელია ოპერატორის მიერ ცალმხრივად შეიცვალოს, ოპერატორის ვებგვერდზე ქვეყნდება ხელშეკრულების განახლებული ვერსია ცვლილებების თარიღების მითითებით და ამ ვერსიასექნება უპირატესი ძალა მხარეთა შორის მანამდე მოქმედ ხელშეკრულებასთან მიმართებით;

12. ხელშეკრულების შეწყვეტა.

12.1. ხელშეკრულება სრულად ან ნაწილობრივ შესაძლებელია ნებისმიერ დროს შეწყდეს;

12.2. მხარეთა შეთანხმებით;

12.3. აბონენტის მოთხოვნით;

12.4. ოპერატორის მიერ;

12.5. ერთი მხარის ინიციატივით, თუ მეორე მხარე არღვევს ხელშეკრულების პირობებს და დამრღვევი მხარე გაფრთხილების მიუხედავად არ აღმოფხვრის დარღვევას ან გაფრთხილების მიუხედავად განმეორებით დაარღვევს კონკრეტულ ვალდებულებას;

12.6. ოპერატორის მიერ, მომსახურების/ტექნოლოგიის გაუქმების ან მოდიფიცირებისას;

12.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

12.8. ოპერატორი ასევე უფლებამოსილია, შეწყვიტოს შეკვეთილი მომსახურება იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება აბონენტისათვისშეკვეთილი მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს მაგალითად: ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, მესამე პირების მხრიდან ინფრასტრუქტურით/ფართით სარგებლობის შეზღუდვა/აკრძალვა,წინააღმდეგობა უსაფრთხოების სტანდარტებთან, ნებართვის, ავტორიზაციის გაუქმება/შეჩერება, კონკრეტული მომსახურების მიწოდების სრულად შეწყვეტა ან მისი არსებითი მოდიფიცირება და სხვა;

12.9. ოპერატორის ინიციატივით, ცალმხრივად ოპერატორთან გაფორმებული წინამდებარე თუ სხვა ხელშეკრულების ფარგლებში „კეთილსინდისიერი სარგებლობის წესების“ დარღვევის შემთხვევაში;

13. მომსახურების აპარატურა

13.1. ხელშეკრულების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია დაუბრუნოს ოპერატორს დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურა შეწყვეტის თარიღიდან 75 დღის ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, აბონენტი ვალდებული იქნება გადაიხადოს საკომპენსაციო თანხა შესაბამის დანართში მითითებული ოდენობით;

13.2. დროებით სარგებლობაში გადაცემული აპარატურის დაზიანების შემთხვევაში, აბონენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ოპერატორს დაზიანებული აპარატურის საკომპენსაციო თანხა. ამასთან, დაზიანებულად ჩაითვლება ყველა ის აპარატურა, რომელსაც აქვს ნივთობრივი ნაკლი (გარეგანი დეფექტები, ბზარები და სხვა სახის ზემოქმედების ნიშნები);

13.3. აბონენტის არყოფნის შემთხვევაში, აბონენტი უფლებამოსილია შეატყობინოს ოპერატორს იმ პირის ვინაობა, ვინც უფლებამოსილი იქნება აბონენტის სახელით ჩაიბაროს/გადასცეს აპარატურა ან ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს ნებისმიერ დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში, ასეთი პირი ჩაითვლება აბონენტის მინდობილ/უფლებამოსილ პირად;

14. პრეტენზიის წარდგენის წესები/დავის გადაწყვეტა

14.1. მომსახურების არაჯეროვნად მიღებასთან, მომსახურების საფასურის დარიცხვასთან, ან ნებისმიერ ხარვეზთან დაკავშირებით, აბონენტი უფლებამოსილია პრეტენზიით (ზეპირი ან წერილობითი ფორმით) მიმართოს ოპერატორს;

14.2. პრეტენზია ოპერატორის მიერ განხილულ იქნება ოპერატორის მიერ დადგენილი და დამტკიცებული წესების მიხედვით. პრეტენზიის განხილვის დასრულების შემდგომ ოპერატორი წყვეტს პრეტენზიის დაკმაყოფილების, ნაწილობრივ დაკმაყოფილების ან არ დაკმაყოფილების საკითხს. ზეპირი პრეტენზიის არ ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში ზეპირად, ხოლო საჩივრის შემთხვევაში წერილობით ატყობინებს აბონენტს. საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში, ოპერატორის გადაწყვეტილება აბონენტსშესაძლებელია ეცნობოს ზეპირად, თუ აბონენტი არ მოითხოვს მის წერილობითი სახით მიღებას;

14.3. თუ აბონენტი არ ეთანხმება ოპერატორის გადაწყვეტილებას მის პრეტენზიასთან დაკავშირებით, მას შეუძლია გადაწყვეტილების შესახებ ოპერატორის შეტყობინების მიღების შემდგომ დავის გადასაწყვეტად იმოქმედოს 14.4 პუნქტის შესაბამისად;

14.4. მხარეებს შორის უთანხმოების ან დავის წარმოშობისას, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერი დავა განსახილველადმხარის (პრეტენდენტის) არჩევანით შესაძლებელია გადაეცეს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასთან მოქმედ მომხმარებელთა ინტერესების საზოგადოებრივი დამცველის სამსახურს (მის კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე), ან სასამართლოს.

15. დასკვნითი დებულებები

15.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი გარემოებების დადგომის შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის და „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;

15.2. წინამდებარე ხელშეკრულება შესაძლებელია ითარგმნოს სხვა ნებისმიერ ენაზე. ასეთ შემთხვევაში უპირატესი იურიდიული ძალაენიჭება ქართულ ვერსიას;

15.3. აბონენტი ადასტურებს, რომ ხელშეკრულების შინაარსი მის მიერ აღქმულია ზუსტად და იგი სრულად შეესაბამება მის ნებას. ამასთან,მის მიერ ნების გამოვლენა მოხდა ხელშეკრულების შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად და არა მარტოოდენ სიტყვა-სიტყვითი მნიშვნელობიდან;

ოპერატორი:
შპს გრინ ნეთვორქსი
წამომადგენელი:

აბონენტი:

წარმომადგენელი: